ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №3035987

ნომერი: AR1462803

თარიღი : 09.12.2016

გაცემის თარიღი : 13.01.2017

გაცნობის თარიღი : 13.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნუცუბიძე , N 129 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკა ედიშერაშვილი პ/ნ 01001040982
- ქ. თბილისი, გელოვანის გამზირი 52

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 09

დეკემბერს #AR1462803 განცხადებით მომართეს ეკა ედიშერაშვილმა და გრიგოლ მორჩილაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ამავე სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ქუჩა ნუცუბიძე #129, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: #01.14.02.025.128), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 18 აგვისტოდან 2017 წლის 18 აგვისტოს ჩათვლით. სამსახურის 2016 წლის 01 მარტის #2459929 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 26 თებერვლის #ბ-53889/12 ბრძანებაში დაფიქსირებული დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა. ხოლო, სამსახურის 2016 წლის 24 აგვისტოს #2781999 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში დამკვეთად მითითებულია შპს „ეკომეტრი“ (ძველი საფირმო სახელწოდება შპს „სი თი“). საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #882015373703, მომზადების თარიღი: 16/07/2015 წ., ს/კ: #01.14.02.025.128) შესაბამისად, საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ეკომეტრი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია: #B16031275; მომზადების თარიღი: 02/03/2016 წ.; ს/კ: #404464030) თანახმად, შპს „ეკომეტრი“-ს დირექტორს წარმოადგენს გრიგოლ მორჩილაძე.

განმცხადებლების განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით. კერძოდ, საცხოვრებელ ფართობად 10425.73 კვ.მ–ის ნაცვლად 10193.39 კვ.მ–ის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 2229.34 კვ.მ–ის ნაცვლად 2461.68 კვ.მ–ის, ავტოსადგომის ფართობად 5737.39 კვ.მ–ის ნაცვლად 5690.39 კვ.მ–ის, ხოლო, საერთო ფართობად 21105.37 კვ.მ–ის ნაცვლად 21058.37 კვ.მ–ის დაფიქსირებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებაში, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს - 10193.39 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 2461.68 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად - 5690.39 კვ.მ., საერთო ფართობად 21058.37 კვ.მ.;
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 2016 წლის 09 დეკემბრის #AR1462803 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 18 აგვისტოს #1439415 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge